№ 186 სექტემბერი 1, შაბათი 1890 სექტემბერი 1, შაბათი № 186


გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 9 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ჰუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზე.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი 1877—1890



გაზეთი „ივერია“ პირველის ენკენისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 4 მან. და 75 კაპ.



## ОТЪ КОНТОРЫ РЕДАКЦІИ

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.



## სასწავლებელი და პანსიონი

ი. რ. მჭედლიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

ამზადებს ბავშვებს კადეტის კორპუსისა, გიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლისათვის, აგრეთვე იყვანს პანსიონერებად ყველა საშუალო სასწავლებლის შეგირდებს. დაწვრილებით პირობის შეტყობა თვით სასწავლებელში შეიძლება.

(18—8)



სურათებიანი

## „ვეფხის-ტყაოსანი“

ძვირფასს ყდაში,

გამოცემული

### გ. დ. ქართველიშვილის მიერ

ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთ-საწყობში.

წიგნში 27 ზიჩისაგან დახატული სურათია, მრავალი განგებ ამ წიგნისათვის შეკვეთილი ჩუქურთმის მხატვრობა და სათაური ასოები, ამოჭრილა პეტერბურგში.

წიგნი დიდის ფორმატისაა და ღირს ტფილისში 15 მანათი.

ვისაც სურს ტფილისს გარეთ დაიბაროს, ფოსტისა და გასაგზავნი ხარჯი უნდა წარმოადგინოს კიდევ ერთი მანათი.

წიგნი იყიდება ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში, ცენტრალურ წიგნის მაღაზიაში და ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში—ძმ. ჭილაძეების და ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიებში.

დაბარება შეიძლება ამ ადრესით.

Въ Тифлисъ. Канцелярія Общества грамотности. Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка. № 102



სასწავლებელი

### ს. ნ. ჟღენტისა

(ქუთაისში)

უეჭველად ყმაწვილებს მიიღებს 15-ს სექტემბრამდე. (10—4)


ტფილისი, 31 აგვისტო

რამდენადაც გარემოება ნებას გვაძლევდა, დიდის ყურადღებით და გულ-მოდგინებით ვადევნებდით თვალს ჩვენის დაბა-სოფლებიდგან მოწერილ ამბებს. გვენატრებოდა, გვეპოვნა სოფლიდგან მოსულ ამბავში საუბარი სოფლის ავ-კარგიანობაზე, იმ საჭირ-ბოროტო საგანზე, რომლის უყურადღებობაც სოფლის კეთილდღეობას ძირს უთხრის და სრულიად ბოლოს უღებს. სამართლიანად მიგვაჩნდა, რომ განათლებული კაცი, რომელსაც ბედმა სოფელში არგუნა ტრიალი, ადვილად შეამჩნევს სოფლის ნაკლულევანებას და თავის ნანახს, ნაკვირვებს და მოსმენილს გაუზიარებს მკითხველს, შეატყობინებს უფრო განათლებულ საზოგადოებას და ამით დაეხმარება რომელისამე საგნის გამორკვევასაო. ამის მაგიერ სოფლიდგან მოსული ამბავი მომეტებულ ნაწილად უფერულია, უსაგნო და უფრო მოწაფის ნაჯღაბნსა ჰგავს, ვიდრე შეგნებულის სოფლის მეთვალყურისასა, მიუდგომელ მემატიანეს ნაღვაწ-ნაშრომსა და საქმის გონების ნაფიქრს.

ვის არ წაგიკითხავთ, აი თუნდა ჩვენის გაზეთის კორესპონდენციები. ესა-და ეს სოფელი, იწერება ხშირად კურთხეული სოფლის მეთვალყურე: გუბერნიისა, ან მაზრის ქალაქიდგან ოცის ვერსის სიშორეზეაო, თითქოს ეს გეოგრაფიული ცნობა ვისთვისმე დიდად საჭირო იყოს. ან კიდევ: ჩვენი სოფელი მეტად განთქმულია პურისა და ღვინის მოსავლითაო, თითქოს ეს ამბავი ახალი რამ იყოს და ყველა ქართველმა კარგად არ იცოდეს, რომ ჩვენი მხარე განთქმულია მთელ დედამიწის ზურგზე პურისა და ღვინის მოსავლით. ან კიდევ: მამასახლისმა და ქურდ-ბაცაცებმა სოფელი აამტუტეს და ადგილობრივმა ბოქაულმა ავაზაკნი ვერ შეიპყროვო. მართალია, ძნელია როცა სოფელს უმაქნისი, ცუდი მამასახლისი განაგებს, ან თუ სოფელს ქურდ-ბაცაცები ნაცარტუტას ადენენ, ამას გამოქვეყნება და გამოაშკარავება უნდა, მაგრამ უმთავრესი ყურადღება სოფლის მეთვალყურისა და მემატიანისა მარტო ამაზე არ უნდა იყოს მიქცეული. ამას გარდა სხვა ისეთი საგნებიცაა სოფელში, რომლის აუხსნელად, გამოურკვევლად დაგდება; დიდი ცოდვაა და რომლის გამოძიებაც უმთავრესს საქმეს უნდა შეადგენდეს სოფლის მეთვალყურისას.

დღეს ჩვენ გვსურს, მკითხველის ყურადღება მივაქციოთ ერთს საგანს და ისიც უეჭველია დაგვეთანხმება, რომ ამ საგნის შესახებ სრულიად არა დაწერილა-რა, ბევრს თავი არ შეუტკივებია და არ განუხილავს რიგიანად ეს დიდ-მნიშვნელოვანი საგანი.

რუსეთში, იმპერატორ ნიკოლოზის მეფობის დროს, დიდი მითქმა-მოთქმა და სჯა იყო, როგორ განვათავისუფლოთ გლეხობაო: მიწა-წყლით, თუ მარტო პირადად თავისუფალი გავხადოთ. ბოლოს იმ აზრმა გაიმარჯვა, რომ უმიწა-წყლოდ გლეხის განთავისუფლება დიდი არაფერი შვილი იქნება და უმამულო გლეხი უფრო დიდს მონობაში ჩავარდება, ვიდრე აქამდის იყოვო. რაკი პრინციპიალურად ამ აზრმა გაიმარჯვა, მთავრობამაც გადასწყვიტა, რომ ყმები უსათუოდ მიწა-წყლით უნდა განვათავისუფლოთო*). იმპერატორს ნიკოლოზს აღარ დასცალდა ამ აზრის განხორციელება, იგი უეცრივ გარდაიცვალა 1855 წელს. ექვსმა წელმა კიდევ განვლო იმის სიკვდილს შემდეგ, ვიდრე ნიკოლოზის შვილმა ალექსანდრე მეორემ სისრულეში მოიყვანა მამის განზრახვა. 1861 წელს ოც-და-ხუთ მილიონამდე ყმები განთავისუფლებულ იქმნა პირადად და სახლკაროდ და სახნავ-სათესად სხვა-და-სხვა გუბერნიაში სხვა-და-სხვა ზომის მამული მოუჭრეს. ამ მონაჭერს მამულს სახელად დაერქვა „ნადელი“. ნადელს გარედ დარჩენილი მამული-კი სრული საკუთრება იყო მებატონისა და, მაშასადამე, გლეხი ვერანაირად ვერ შეეხება სხვის საკუთრებას, თუ შეეხება-და, ეს ხომ კანონის გადალახვა იქნება და ამისთვის უსათუოდ უნდა დაისაჯოს,

კანონს ისიც ცხადადა აქვს გარკვეული, თუ რა ნაირად უნდა იხმაროს გლეხმა „ნადელი“. ყოველ სანადელოს მოსავლიდგან მეოთხედი აძლიე მებატონეს, ან იმდენი, რამდენსაც მორიგდებით ერთმანეთშიო. რაკი-და ეს მორიგება მოხდება და ქაღალდზედ დაიწერება, ამას კანონიერი ძალა ეძლევა და ვეღარც გლეხი და ვეღარც მებატონე ვერ დაარღვევს დაუსჯელად. დავიდარაბის ასაცილებლად და მოსასპობად მთავრობამ დანიშნა ესრედ წოდებული მომრიგებელი შუა-კაცნი, თუმცა-კი მაგდენად საჭირო არ იყო ამდენის მოხელეების დაწესება, რომელსაც კანონი მეტად მარტივა

*) ვისაც ამ საგნის შესწავლა სურს, შეუძლიან წაიკითხოს მშვენიერი თხზულება ბ. ნ. სემევსკისა: „Крестьянскій вопросъ въ царств. Имп. Николая“.

## ფელეტონი

### ავარაკად

(ხაზაუხული ფელეტონი)

II

ფრანცია რად იქნებოდა იმ ვაებაში, როდესაც ბულანჟეს კვალს დაეძებდა, რა ვაებაშიაც ჩვენი დაბის სულთამაზები ჩავარდნენ: იმ დღიდან, რა დღესაც «ივერიის» ფურცლებზე დაბის ავ-კარგიანობა ამოიკითხეს, ე. ი. 2 აგვისტოდგან.

„სრულიად დაკარგათ მადა და მშვიდი ძილი;
ამისთანა სიცოცხლეს ბევრითა სჯობს სიკვდილი.

ეს ერთი ზღვა «გადამდგარი ტურნუროსნები“ სწორედ ყალყზე წამოდგნენ, ამხედრდნენ და აამხედრეს თავიანთი «უშიშარი და არა გულ-მართალი რაინდები» და გამალებული დაეძებენ სახელ გასაწყვეტ «ჯლაბნიას»... ნეტავი, როგორც ნამდვილი წმინდა სისხლის მეძებრებს შეჰფერის, „ელენე-ბელენე“ მაინც ეთქვათ და ისე შესდგომოდნენ „გზასა ცხოვრებისასა. თქვენც არ მომიკვდეთ. ხო არც სხვა დროს მოედებათ ენაზე ჭალი, მაგრამ ეხლა გაუალმასებიათ: რჯულზედ ხელ-აღებული სულა ჰპარსავს. დადიან, დასისინებენ და ვინც არა მგონია იმასა სწამებენ ფელეტონს და ამასთან, რა თქმა უნდა, ლირსეულადაც ამკობენ.

— უეჭველად კოჭინჭარას დაჯლაზნილია.

— ვერ უყურებთ, დაჩმეხილსა: ფეხი ხო აუთრევია, წელიც ჩვენ ავათრევინოთ.

— არა, ქალო, ამბობენ „ეშმაკისაგან პანღურ-ნაკრავმა მოახერხაო.

— ი, მეხი-კი ჩამოვათხლიშე იმ გასიებულ თავზე!.. „კუმ ფეხი გამოყომეც ნახირ-ნახირაო.“

— მე კიდევ ასე მითხრეს, აი ყელფოშიანი კაცი არ დადის წოწლოტინა, თურმე ამ წინაზედ „სტანციის“ ფერდობზე პირ-ქვე წაწოლილი რაღაცა!ა ცოდვილობდა... უთუოდ ის იქნება.

— მეტს ნურას მოასწროს იმისი პატრონი... საღამოზე ჩვენსკენ არ ჩამოიელის, სხვას თუ ვერას დავაკლებ, მიუსევ იმის ძაღლს ჩვენს ბოთვერას და ნაფლეთ-ნაფლეთ ვაქცევინებ...

— ერთი შენ მე დამანახვე ვინ არის ეგ ნემსი-ყლაპია... მგონი კუდით ქვა ვაკრეფინო..

— ოჰ, ნეტამც გავიგებდეთ, ვინ გვიყო ეს საქმე და მართლა იმ პარკში წასვლა ნუ მეღირსოს, თუ ჩემის ნაწნავებით არ დავარჩო...

— იჰ, შენცა; სიკაპასით რომ ვეღარა გაგიგია-რა: როგორ, იმაზე ნაწნავები უნდა წაახდინო?

— ნაწნავები-კი არა, ჩემ ფარჩის კაბას არ დავზოგავ: დავარღვევ თითო ძაფად, დავგრეხ თოკსა და სწორედ „სტანციის“ ბოძზე მივაკრავ გვარის სამარცხვინოდ.

— ნეტავი შენს მოთმინებას.

— ნურც ნაწნავს წაახდენთ, ნურც კაბას... არა, ტურნურებს რას ვაკეთებინებთ... ეს მოდნაც ხო ამოვარდა... ყველა ჩვენგანმა რომ თითო თავისი „ოტსტავნოი“ ტურნური დაეთხლიშოთ თავში, იმას მეტიც აღარ უნდა, იქავე სულს გაჰკანკავს.

— აი ჩინებული აზრი.

— ეთქვათ კიდეც ჩავიგდეთ ხელში, რას დაგვედგება... მოვარტყათ თუ არა ერთს ტურნურს მაშინვე ფხაჭი კალათას დასწნავს...

— იცით რა, რომ მართლა ხელიდგან არ გაგვისხლტეს და რიგიანად დავსაჯოთ, დაეინახავ თუ არა მომავალს გავექანები და ხაბარდას გადავაფარებ... ბარემ აღარ ვიცავამ და ისე უქმადა ჰკიდია—ამ შემთხვევაში მაინც გამოვიყენებ... არა მგონია გამოაგნოს-ლა...

— პირველი მე დავახლი ჩემს ტურნურს და შემდეგ თქვენ იცით... ნუ აჩქარდებით, ვინძლო ერთიც არ ააცდინოთ...

— ის დღე იყოს და მშვიდობა, თორე არამც თუ ხაბარდაში გაბმულს და ახლოდამ—ხუთს ადლზე მინარბენსაც-კი არ ავაცდენ.

— ისეთი დავთხლიშო, ზიარებაც ვეღარ მოასწროს... მერე ჩემი ტურნური: ჩვენმა მჭედელმა ისეთი რკინის კრკალი გაუკეთა, რომ მოდა რო არ გადავარდნილიყო, მთელს ჩვენს გვარეულობას მოიდნობდა...

— ქალებო, ეს სასჯელი-კი გადაუწყვიტეთ, მაგრამ არ იტყვით, ვისა სჯით? როგორ გავიგოთ.

— იჰ, შენცა, თუ საქმე გაჭირდა, მკითხავთან მაინც აღარ წავალ?

— მეც ეგ უნდა მეთქვა.

— ჯერ ყმაწვილებს დაევალოს

და გარკვევით ჰქადაგებს, რა უნდა აძლიოს გლეხმა მებატონეს და რა უნდა იღოს გლეხისაგან ბატონმა. აყალმაყალის მოსასპობად დაწესებულია საზოგადო სასამართლოები, რომელთაც შეუძლოთ ამ ახალის ტვირთის კისრება.

რუსეთის კანონმდებლობა ხმას არ იღებს იმის შესახებ, თუ რა წესითა და პირობით უნდა იხმაროს გლეხმა ნადელს გარედ დარჩენილი მამულები, ე. ი. სრული საკუთრება მემამულისა. აი სწორედ ამისთვის იყო საჭირო განსაკუთრებულის მოხელეების დაწესება, როგორც მომრიგებელი შუა-კაცნი არიან, და არა ზემოდ მოხსენებულის მცირეოდენ დავიდარაბის მოსასპობად მებატონესა და გლეხთა შორის.

კანონის უქონლობამ ამ საგნის შესახებ გლეხის მდგომარეობა მეტად გაამწვავა და გააძნელა. გლეხს ნადელი არა ჰყოფნის, მიდის მემამულესთან და ეღრიჯება: რამდენიმე დღიური მომეცი მოსახნავადაო. ამ დროს ბატონის ჟინი და ეკონომიური მოსაზრება სრულს თავისს სასტიკს ძალას იჩენს. მე ვარ და არ გაძლევ მამულსაო, და, ან თუ მისცემს მამულს, ისეთს ღალას მოსთხოვს, რომ იმისი გადახდა ყოვლად შეუძლებელია. ჯერ ჩვენში, ჩვენის გლეხის საბედნიეროდ, თუმცა განტი-გუნტად შემოგვესმა, რომ ზოგიერთ ადაგას მემამულე ტიოქმის ორს მესამედს მოსავლისას სთხოვს მიწის მამუშავესაო, მაგრამ რუსეთში-კი კაი ხანია, რაც ულმობელმა ეკონომიურმა კანონებმა თავი იჩინა. რუსეთის სამს-ოთხს შუაგულ გუბერნიაში ჩვენ თითონ გვინახავს, რომ გლეხი მემამულეს დღიურზე თხუთმეტ მანათიდან ორ თუმნამდე აძლევს. როცა ჰკითხავ გლეხს, რადა სარფა გაქვს მამულიდგანაო, გიპასუხებს: საქონლისთვის ღეროა საჭირო და რა ვქნათ, რომ ერთი-ორი დღიური მაინც იჯარით არ ავიღოთო. შეიძლება ვინმემ იკითხოს, თვით მემამულესთვის რა სარგებლობაა, თუ გლეხს არ შეაძლებინებს მამულის შემუშავებას, იმასაც ხომ შემოსავალი დააკლდება, რადგან მამული შეუმუშავებელი დარჩებაო. ამაზედ შემდეგ წერილში მოვილაპარაკოთ და ეხლა-კი გავათაოთ ეს წერილი სამართლიანის საყვედურით, რომ ჩვენი სოფლის მეთვალყურენი უეჭველია ჰხედავენ, რა სასოწარკვეთილებაში ვარდება გლეხი, როდესაც მემამულე ეუბნება: ან მომეცი დღიურზე ამდენ-ამდენიო, ან გასწი და დაიღუპე ჩემის მამულისგანაო, და ქვეყანას-კი არ ატყობინებენ, რა ვაი და ვაგლახი დატრიალდება ხოლმე მიყრებულს სოფელში 'ამ ორიოდე სიტყვის შემდეგ: ან მომე ამდენი კოდი დღიურზე, ან გასწი და დაიკარგეო.

ა. ფრონელი

# ახალი ამბავი

*** გუშინ-წინ, 30 აგვისტოს, ნაშუადღევის ოთხს საათს ათი წუთი აკლდა, რომ საგანგებო მატარებლით ტფილისში ჩამობრძანდა ფინანსთა მინისტრი, დეისტვიტელნი ტაინი სოვეტნიკი ივანე ალექსის ძე ვიშნეგრადსკი. მინისტრს თან მოჰყვა რკინის გზათა დეპარტამენტის დირექტორი სერგეი იურის ძე ვიტტე, კოლეჟსკი სეკრეტარი პუტილოვი, შვილი ალექსი ივანეს ძე ვიშნეგრადსკი და დისწული ნიკოლოოზ პორფირის ძე ლობოიკოვი. მინისტრი შვილითა და დისწულითურთ სასახლეში ჩამოხდა, დირექტორები-კი — ტაინი სოვეტნიკ მარკოვისას. გუშინ, 31 აგვისტოს, მინისტრის პატივსაცემლად სადილი გამართა ტფილისის გუბერნატორმა თ. გ. დ. შერვაშიძემ, ხოლო დღეს — ტფილისის ზოგიერთმა ვაჭრებმა. ტფილისიდგან ბ-ნი მინისტრი აპირებს დღეს საღამოზედ ბაქოში წასვლას, იქ დაათვალიერებს ბალახანსა და სურახანს და ლისტერისა და ნობელის ქარხნებს. ბაქოში მინისტრის პატივსაცემლად სადილს ჰმართავენ ნავთის მწარმოებელნი, ხუთს-კი — თვით ქალაქი.

*** გუშინ-წინვე, 30 აგვისტოს, საზამთრო სეზონი დაიწყო ჩვენს საოპერო თეატრში. საპირველ წარმოსადგენად ითამაშეს გლინსკას ოთხმოქმედებიანი ოპერა „Жизнь за царя“, რომელშიაც ბ-ნი ვანდერიკი რუსულად მღეროდა. წარმოდგენის დაწყებამდე არტისტებმა „Боже, царя храни“, რუსულად იმღერეს ვანდერიკს ვერად ეხერხებოდა და ზოგიერთს სიტყვებს მღერაში ზოგჯერ ისე ამახინჯებდა, რომ საზოგადოებას ღიმილსა ჰგვრიდა. შემოსავალი პირველ წარმოდგენიდგან 950 მანეთამდე იყო, ასე რომ ცოტა აკლდა ავსებას. წარმოდგენას დაესწრო აგრეთვე ფინანსთა მინისტრი ბ-ნი ვიშნეგრადსკიც და ბოლომდე დარჩა. დღეს თეატრში იტალიურს ენაზედ წარმოდგენილი იქნება „Аида“.

*** 29 აგვისტოს, ოთხშაბათს, სათავად-აზნაურო ბანკის თეატრში კონცერტი გამართა ფ. მ. ბაუერმა, რომელიც ციტრასა და ციტრა-გარმონიუმზედ უკრავს. ამ საკრავს მეტად სასიამოვნო ხმა აქვს და დიდის ხელოვნებითაც უკრავს ბ-ნი ბაუერი. მეკონცერტემ 16-მდე №-რი დაუკრა და საზოგადოების თხოვნით განიმეორა კიდეც თავისივე „капризная полька“, რომელიც საგანგებოდ კარგად გამოდის ციტრაზედ. საკვირველი ის არის, რომ არტისტმა თავისივე შეთხზული რუსული ფანტაზია დაუკრა და იცით, რა აღმოჩნდა ეს რუსული ფანტაზია, „ახ, მერცხალო, მერცხალო!“ მეორე და უკანასკნელი წარმოდგენა ბაუერს დღესა აქვს დანიშნული იმავე თეატრში. პირველს წარმოდგენას ხალხი ნაკლებად დაესწრო.

*** ჩვენ მივიღეთ 90 ცალი „განსჯანი არისტოტელისა“ მამა კალისტრატესაგან გარდასაცემად წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისათვის. ეს წიგნები შემოუწირავს კნ. მართა იოანე ლარაძის ასულს.

*** ბ-ნ დ. პ. ფურცელაძეს უპოვნია „ანდერძი“ ანტონ კათალიკოზისა 1793 წლისა. „ანდერძს“ აკლია თავში რამდენიმე ფურცელი, რომლის მიზეზით ვერ მოუხერხებია მისი გამოცემა. ამიტომ სთხოვს ყველას, ვისაც-კი მოეპოვება სრული „ანდერძი“ ანტონისა, დაათასონ და გამოუგზავნონ ამ ადრესით: ტფილისი ანანოვის სახლში № 21, ბ-ნ დ. პ. ფურცელაძეს. ამასთანავე სთხოვს ყველა ადგილობრივს რედაქციებს, თავ თავიანთ გაზეთში გამოაცხადონ ეს ამბავი.

*** როგორც შევიტყეთ, ს. ცხრამუხას ახლო, გორის მაზრაში, მტკვარში მეტივეებს უპოვნიათ ერთი ღუზა, რომელიც მღ. ი. ციცქიშვილს უყიდნია. სულ უძველეს დროს, როგორც ისტორიიდგან ვიცით, მტკვარზედ იალქნიანი გემები დადიოდნენ და სურამს ახლო, ცხრა-მუხასა და ქვიშხეთს შუა, ნავთსადგური ყოფილა გამართული. ნაპოვნი ღუზაც გემისაა. მაშასადამე, ეს ახლად ნაპოვნი ღუზა ცხადად ამტკიცებს ძველის ისტორიკოსების გარდმოცემას, რომ კასპის ზღვიდგან სურამამდე საქონელი გემებით დაჰქონდათ და მტკვარი სანაოსნო მდინარე იყოვო.

*** სოფ. კაკაბეთი, სიღნაღის მაზრა. თუმცა კაკაბელებს მშვენიერი მოსავალი მოგვივიდა წელს, მეტადრე ქერისა, მაგრამ მაინც არა სანუგეშო მდგომარეობაში ჩავცვივდით. ყველამ იცის, რომ გლეხის უმთავრესს სახსარს ცხოვრებისას ხვნა-თესვა შეადგენს, და ეს სახსარი-კი ხელიდგან გვეცლება. გამძვინვარებულს ჭირს ყოველ-დღე მიაქვს მრავლად მსხვერპლი. საქონელი გაწყდა. დღე არ გავა, რომ სოფელს გარედ თვალ-ცრემლიანებმა არ გაათრიონ ან გატყავებული და ან გასატყავებელი საქონელი. სოფლად ხევშიაც სტოვებენ საქონლის ლეშს. თუმცა მოვიდა ექიმი და დაათვალიერა აქაურობა, მაინც ფუჭი იყო იმისი მოსვლა. საითაც მიიხედავთ, ყველგან მწოლიარე ავადმყოფი საქონელი გეჩხირებათ თვალში. ესე ვართ ღვთის ანაბრად. კარგი იქნება, რომ მოგვაქციონ ყურადღება და გვიწამლონ რამე, კაკაბელებმა მინდორი გაიყვეს, რადგანაც უმამულო ბევრი იყო.

გაყოფა თავს ვერ იჭერს ჯერ-ჯერობით და არ ვიცით, ბოლო რა იქნება. საზომად თორმეტმა კაცმა მიიღო საბელი. თითოეულს კომლს მიუზომეს ხუთი საბელი, საბელი შვიდი კაბდოა, კაბდო თორმეტი მტკაველი. გამყოფელ თორმეტ კაცს აბრალებენ, რომ კარგი მიწები თითონ მიიზომესო, თუმცა არ ვიცით, რამდენად მართალია ეს ამბავი?!.

*** სამტრედია: 30 აგვისტო: წუხელის მეთორმეტე საათზედ ყაჩაღი დარჩია თავის ბრბოთურთ, რომელშიაც ათ კაცამდე იქნება, თავს დაეცა სამტრედი ს მეაფთიაქეს და 1060 მან. წაართვა. წასვლისას უთხრა თურმე, რომ ხვალ თქვენის გაძარცვის ამბავი პოლიციას გამოუცხადე, მაგრამ იმდენი-კი უთხარი, რამდენიც წავიღე, ნურას წაუმატებ, ცოდვაოო. ამ სიტყვებით გამოესალმა თურმე თავ-ხედი ყაჩაღი გაძარცულს და თავის გზას გაუდგა.

*** ბორჯომი, 30 აგვისტო. ცეცხლი აქაურს მამულში თანდათან სცხრება. სრულიად გაქრობამდე ჯერ კიდევ ბევრი უკლია. ზარალის ცნობაში მოყვანაც ჯერ-ჯერობ-ით შეუძლებელია. სხვა-და-სხვა ადგილიდგან მოსხმული გლეხები და ჯარის-კაცები უკანვე გაისტუმრეს. „Нов. Обоз.“-მ გვაუწყა, რომ 27 ამ თთვისას წვიმისაგან ნიაღვრები იყო, მთის პატარა მდინარე — ნაკადულები თავის ნაპირებში წყალს ვერ იტევდაო და წვიმის წყალობითვე ცეცხლი საბოლოოდ ჩაქრაო. ბარემაც კარგი იქნებოდა, რომ ავეთი ღვთის წყალობა მოჰმადლებოდა აქაურობას, მაგრამ წვიმა, კოკი-პირულად-კი არა, ჰინჭილა-პირულადაც-კი არ გვინახავს, ამდენი ხანია. მართალია 26 ამ თთვისას ცოტა მოიწვიმა, მაგრამ იმას ცეცხლის ჩაშრეტა-კი არა, ტანისამოსის დასველებაც არ შეეძლო, მეორე დღეს დილით ქუჩებს ნაწვიმარი ძლივს ემჩნეოდა.

*** 29 ამ თთვისას, პოლიციის მესამე ნაწილში, იარმუკაში, სპარსეთის ქვეშევრდომნი მარტიროზ და მელქო ბინატიანცნი წაეჩხუბნენ სპარსეთისავე ქვეშევრდომს თადეოზ ვართანოვს და სცემეს. ვართანოვი საავადმყოფოში გაჰგზავნეს და იქვე გარდაიცვალა.

*** ამავე დღესვე, რიყეზე, კრიმჩევის ოთხის წლის ყმაწვილი ქუჩაზე თამაშობის დროს ივან პავლოვის ეტლს ქვეშ მოჰყვა და დაშავდა. ყმაწვილი პატრონს გადასცეს დამნაშავე კი, პასუხის გებაში მისცეს.

*** ამ თთვის 28 ტფილისის მცხოვრებლის ცაგანა პეტრუზოვის ტრაქტირში, მიხეილის ქუჩაზე, ეტლით მიიჭრა ტფილისის მცხოვრებელი გრიგოლ ზეზიანი, შევიდა დუქანში და რა-კი იქ არავინ იყო, დახლი გასტეხა და 23 მან. მოიტაცა, მაგრამ მალე მოასწრეს, შეიპყრეს და პოლიციაში გაჰგზავნეს. ფული ისევე პატრონს დაუბრუნეს.

*** 29 აგვისტოს ტფილისის მცხოვრებელმა ტომას სარნოვსკიმ პოლიციის მეათე ნაწილში გამოაცხადა, რომ ჩემის სახლის ლიაფანჯარაში შემოვიდნენ და სამწერლო სტოლის უჯრიდგან მომპარეს ორი ოქროს საათი ძეწკვით, ორიც ვერცხლისა და ფულის ქისა, რომელშიაც იყო ვაჭრობის საბუთის ქაღალდი და ფულად 40 მან. ამას გარდა წაი-

---

გაიგონ და თუ ვერას გახდნენ, ჩამოვექნი წმინდა სანთელს და ღვთის მშობელზე დავარისხებ: ჭირი მოვჭამე იმის მადლსა და ძლიერებას, კისერს რო მოუგრეხს, მაშინაც ვერ გაიგებთ?..

— ქრისტეს პირის მკაწრავი გავხდე, თუ ღამის „პოეზდით“ ჩემი ფეხით არ ჩავეჭრა რედაქციაა, თუ რადაც ჯანდაბა: აბა უარი გამიბედონ ისე გამოუთქვეფო იმის მთავარ თანამშრომლებს თავი, რომ ზეითუნი ზეთი გააძვირონ და პიტნის კაპლით ძლივს-ღა აბრუნებდნენ.

— ქალაქშიაც რომ ვერას გახდე?

— მაშნ? ოოო! ვაი ამ „სამების“ ბრალი!.. ის მახინჯი მე მომანდეთ: „ტუნელი“ როგორი უნდა მე ვუჩვენებ იმასა...

— გაბლენძილს ერთი ვერას დააკლებს—სამნი უნდა დავეძგერნეთ... ეცადეთ, წაქცევის დროს ქვეშ არ მოგიყოლიოთ, თორე გაგჭყლეტთ... თუ ჩვენ გავიმარჯვეთ და ზედ დავასხედით, მგონი თითო სიტყვა თითო კვნესად დაუსვათ..

— ი ბუსუსებ სულ გადავაგლეჯ.

— ნემსი-ყლაპიაზე ჩვენ ხელს ნუ გაუსვრით... შარშან ჩემმა ძმამ მგლისათვის ხაფანგი იყიდა და ისე ოხრადა გდია... სწორედ შუა ქუჩაში დავუგებ... იმან ხო აბუეტი სიარული იცის აუცილებლად, შიგ გაებმება...

— დასაბრმავებელი! ვაგზალზე ნუ დაიარებითო. ჩვენი ფეხები ჰშურს, თუ რა არი.

— არა, ენა რატომ არ დაუდუნდა, რომ „პარკზედაცა“ სთქვა არ მომწონს, რომ დადიანო...

— მამა უცხონდა, სწორედ იმის ლაყბობას დავდევ. ამას შემდეგ რომელმა „პოეზდმაც“ უნდა დაიკივლოს, ჩემთვის სულ ერთია, მაშინვე იქ გავჩნდები...

— იმან უნდა შეგვაშინოს: აქამდის თუ ორი „ვეჩერი“ იყო „პარკში,“ ეხლა ყოველ დღე გავამართვინოთ..,

— დღეში სამჯერა ვტყეპავ ჩემს პატარას.

— გამოსძვრა ლოკი, იმის გამოჯავრებული ზეგ აკვნით წავიღებ ბავშვსა...

— არიქა, დატრიალდა ჯარა! არა, შვილო, ერთი ღვთისკენ, ერთი ეშმაკისაკენო... ბევრშიაც არ გაიმტყუვნება ის კაცი...

— როგორ თუ არ გაიმტყუვნება...

— ეგ რა სთქვი, ჩემო დედამთილო?

— ისა, რომ ოღონდ თქვენ გაიფშიკოთ და ალაჯოთ, თორე ოჯახს ჯანი გავარდეს... ჩემი შვილი შვილისა არ იყოს: შუა დღისას ძლივს წამოდგება და წამსაც აღარ დაახანებს მაშინვე „ვაგზალზე“ გაუხვევს ხოლმე... ერთი ჰკითხეთ: რა დააქვს? მე იმისი ჩამოტანილი ვერა ვნახე-რადა!.. ყელამდის რომ ნაგავში იჯდეთ,—არ დაითაკილებთ, არ იტყვით, ერთი ცოცხი მაინც ჩამოვკრათ, ოღონდ სადმე იქათქათოთ და იპრანჭოთ...

— მაშ ეგ არის ფეხი არსად უნდა გავდგათ?

— შინ უნდა დავხასდეთ?

— შენს კალმით დახატულ შვილს თუ შევცქირე, აშენდა ოჯახი.

— აკი არც შესცქერი... რატომაც არა, ყველგანაც იარეთ, მაგრამ, თქვე დალოცვილი შვილებო, ზომა არაში იცით!..

— სწორედ, ნუ დაგიშლიათ, დაკარწახებული სახლს დაუწყებ გვას!

— არა, წყაროდგან წყალსაც ვეზიდებით!

— არა გნებავთ კევრებზედაც შეგვაყენოთ, გვალეწინოთ.

— თქვენმა სიცოცხლემ, თქვენს წიწილებსაც კრუხად დავუსხდებით.

— ჯანი და სულიც წაგვსლიათ თუ არა... ხო ვერ შემჭამთ...

ერთის სიტყვით, რაღა ბევრი გავაგრძელო, შიშისაგან სული კბილით მიჭირავს... სულ იმის ფიქრში ვარ, ვინიცობაა მესროლეს ეს ხაბარდის ქამანდი და შიგაც გაებმი სხვას ჯანი გაჰვარდეს... რკინის ტურნური მაინც რა გზით ავიცდინო... ეჰ, მახლას! „ნუ შეხვალ, ნუ ეპანკები—ნუ გამოხვალ, ნუ თრთიო“...

**

განა ტყუილადა ვსთქვი, განათლებაში ვლივლივებთ-მეთქი. აქამდის თუ ყმაწვილები შევექცეოდით ბილიარდს, ეხლა ქალებიც მოგვეტოლნენ. ეს ერთი ხანია ჩვენი დაბის ხან ერთსა და ხან მეორე „ტრახტირში“ „დაჩნიკი“-ს ქალები თავიანთ კავალერებით „გორია-გორიათი“ ერთობიან. მაინც და მაინც მე წინააღმდეგი არა ვარ ქალის ბილიარდის თამაშობის, როცა ეს ბილიარდი ოჯახში უდგია, მაგრამ „ტრაქტირებში„ სიარული და თითქმის შუაღამემდის „შარის“ ჯახა-ჯუხი ხომ არაფერია. ეს მაგალითი-ღა უნდოდათ ჩვენს ულამაზოთაგან ლამაზად წოდებულთ... თქვენ არ მომიკვდეთ, „Я-СПИТЪ“-ები აქაც არ ჩამორჩნენ... ალილო და ხვალაო... რა სასიამოვნო გასაგონი

...მან. ღირებული პიჯაკი, 7 მან. ...ი, თამასუქები და სხვა საჭირო ქა-...ხიო. დამკარგავმა ეჭვი გამოაცხადა ახლში მცხოვრებს სათადარიგო ჯა-...ცს გოლოვანოვზე.

* ამ თვის 28, პოლიციის მეცხრე ნა-...ში, ტფილისის მცხოვრებელმა იაგორ ...იევმა გამოაცხადა, რომ მიხეილის ქუ-...ქ, საცა ხილის დუქანი მაქვს, ჩემს სხვა-...ნ ყოფნის დროს თელავის მცხოვრებელმა ...აქარ შერმაზანოვმა მომპარა 30 მან. ღირებული ჩოხა, სამი სასწორი და თაბახი 24 მან. ღირებული და 5 მან. თეთრეულიო. დამნაშავე შეიპყრეს, ქურდობაში გამოტყდა და ნაპარევი პატრონს დაუბრუნა. შერმაზანოვს ოქმი შეუდგინეს და სამართალში მისცეს.

## რუსეთი

ფინანსთა სამინისტრომ უკვე შეიმუშავა კანონმდებლობა იმისა, თუ როგორის წესით უნდა დაარსდეს ხოლმე ახალი სავაჭრო და სამრეწველო სააქციონერო, ანუ სხვა ამ გვარი საზოგადოება. სხვა და-სხვა გვარ მრეწველობის წარმოების დასაწყებად და ამ აზრით საზოგადოების შესადგენად უკვე შემუშავებულია საერთო საზოგადო კანონი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს ყოველმა ახლად დაარსებულმა საზოგადოებამ. ამასთანავე ფინანსთა სამინისტრომ შეადგინა ზედამხედველი კომიტეტი, რომელმაც თვალ-ყური უნდა ადევნოს, რომ არც ერთმა ახლად დაწესებულმა სააქციონერო საზოგადოებამ არ დაარღვიოს საზოგადო კანონი და თავისი კერძო წესდებაც უთუოდ ამ კანონის მიხედვით და თანახმად შეადგინოს ხოლმე. ეს ახალი კანონმდებლობა შეეხება მხოლოდ იმ საზოგადოებათა მოქმედებას, რომელიც შიგ რუსეთში იქნება დაარსებული და იქვე იმოქმედებს; უცხო სახელმწიფოების სააქციონერო საზოგადოებანი, თუნდა რუსეთშიაც დაიწყოს რაიმე წარმოება, ამ კანონმდებლობას არ დაექვემდებარება.

— შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ ჟამად ახალს პროექტს ადგენს იმისას, თუ რა წესითა და რიგით უნდა გაიყვანონ გლეხები გზის ბეგარაზე. სამინისტრო აპირობს, გლეხებს ფული გადაახდევინოს ხოლმე იმის მაგიერ, რომ პირდაპირ გზაზე გაიყვანოს სამუშაოდ. სადაც ეს შესაძლო არ იქნება, იქ 25 ვერსი დაინიშნება სოფლიდგან მანძილად და იმაზე შორს გლეხი არას დროს არ გაიყვანება გზის ბეგარაზე.

— ამ წელს კლასსიკურს გიმნაზიებში სწავლა ახალის პროგრამით დაიწყო. ამის მიზეზით გიმნასტიკის სწავლების წესიც შეიცვალა. ამ საგნის სწავლება გაძლიერდა შარშანდელის წლიდგან და უმთავრესი ყურადღება იმასა ჰქონდა მიქცეული, რომ უმაწვილებს სცოდნოდათ რიგზე სიარული. ერთის წლის გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ ამ ნაირად სწავლება გიმნასტიკისა გიმნაზიებში ძლიერ საძნელოა უმაწვილებისათვის, მავნებელია ჯან-მრთელობისათვის და სხვა საგნების შესწავლაშიაც ხელს უშლისო. ამის მიზეზი უფრო შესაფერ სადგომის უქონლობა იყო და კიდევ ისა, რომ გიმნასტიკის ამ ნაირად სასწავლებლად ბევრი დრო საჭირო, რის გამოც უმაწვილები სხვა საგნების სწავლას ველარ ასწრებდნენ. ასეთის უხერხულობის გამო ზოგიერთმა გიმნაზიამ ისევ უწინდელს პროგრამას მოჰკიდა ხელი და გაკვეთილების რიგი და წესი ისევ ძველებური შემოიღო. ეხლანდელის 6 გაკვეთილის მაგიერ იქნება ისევ 5 (თითო 55 წამს), დაწყებული დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის $2^1/_2$ საათამდე. გიმნასტიკისათვის მხოლოდ 20 წამი იქნება გადადებული მესამე და მეოთხე გაკვეთილს შუა. ამასთანავე თითო კლასს კვირაში ორჯელ ექნება გიმნასტიკის გაკვეთილი და არა ოთხჯერ, როგორც შარშან იყო.

— იუხნოვის მაზრაში საკვირველი ადვილი წამალი სცოდნიათ გველის ნაკბენის მოსარჩენად. გლეხები ფეხშიშველა თურმე სთიბავენ ბალახსა და ამ დროს ხშირად ხდება, რომ მხამიანი გველი შემოეხვევა ტიტველა ფეხზე და ჰკბენს. ნაკბენის მოსარჩენად გლეხები ბაყაყებს იჭერენ და ცოცხლებს თითო-თითოს იდებენ ნაკბენ ადაგზე. პირველი ბაყაყი მალე კვდება, მეორე ცოტა გვიან, მესამე უფრო გვიან. ასე იცვლიან ერთმანეთზედ ბაყაყს. როცა ბაყაყი აღარ მოკვდება და ცოცხალი დარჩება, ნაკბენი მორჩენილად ითვლება. ამ ახირებულის საშუალებით მართლაც და ირჩენენ გლეხები თავს. ერთის ექიმის სიტყვით ეს გარემოება იმითი აიხსნება, რომ როცა ცოცხალს ბაყაყს მიიდებენ ნაკბენ ადგილას, ხშირად ითქვამს სულს და ამ დროს მხამს იწოვს, გულის განით ისუტავს და კვდება. მეორე ბაყაყისთვის უფრო ნაკლები მხამი რჩება, მესამისთვის კიდევ უფრო ნაკლები და როცა მხამი სულ ერთიან გამოიწოვება, უკანასკნელი ბაყაყი, რაღა თქმა უნდა, აღარ მოკვდებაო.

## დეპეშა

### 28 აგვისტო

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა, მემკვიდრე ცესარევიჩი, დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული და დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე გუშინ დილით ლუცკში მობრძანდნენ და ამალითურთ ალლუმზე დასასწრებად გაემგზავრენ.

ფ. ა. კლიმოს საბანკირო კანტორამ ოპერაციები მოსპო და ლიკვიდაცია გამოაცხადა. გაზეთები ამ კანტორის დაქცეითებას იმას ამიზეზებენ, რომ ბოლოს დროს მომგებ ბილეთების წვრილ-წვრილად ყიდვა აეკრძალაო. დეფიციტი ჯერ არ არის გამორკვეული. ხმა დადის, რომ დახლში სამოცი თუმანი ფულიაო.

კივერცი. დღეს ალლუმების დროს ლუცკთან წვეთი დაეცა მე-3 გვარდიის ქვეითა დივიზიის უფროსს გენერალ ლეიტენანტს ბარდკოვსკის და გარდაიცვალა.

### 29 აგვისტო

პეტერბურგი. გენერალ-ინსპექტორის თანაშემწეს საინჟინრო ნაწილისას, გენერალ ზვერევს, 50 წლის იუბილეის დღეს მისის სამსახურისას უმაღლესად ებოძა სიგელი და ორდენი წმ. ვლადიმერისა 1 ხარისხისა.

როვნო. მათ იმპერატორებით უდიდებულესობის დასახვედრად ქალაქი მორთულია დროშებით, ყვავილებითა და ხალებით. იმ ადგილას, საიდგანაც მათი იმპერატორებითი უდიდებულესობა უნდა შემობრძანდეს ქალაქში, შეკრულია კამარა ყვავილებისა, ზევიდგან გვირგვინია გამოყვანილი და შემდეგი წარწერა აქვს: „ღმერთო, დაიცევ ხელმწიფე“. სამხრეთ-დასავლეთ რკინის გზების სადგური მორთულია ყვავილებით და მცენარეებით. სადგურიდგან დაწყებული ვიდრე ქალაქის პარამდე გზა ელექტრონით არის განათებული. რკინის-გზის სხვა სადგურები განათებულია გაზისა და ნავთის ლამპრებით. თავლიუბომირსკების ძველი ციხე მშვენივრად შემკობილია ყვავილებითა და ბაირაღებითა. საღამოს დროს ეს ციხე მთლად გაჩირაღდნებული იყო. რეალურ სასწავლებლის შენობა, სადაც მათი იმპერატორებითი უდიდებულესობა უნდა ჩამოხდეს, ძველებურ თავადების სასახლესა ჰგავს: სახლის წინ ბაღია დიდის მორევით. სახლში ასავალი კიბე ფართოა და გვერზე თავისუფალი ადგილი აქვს დატოვებული, სადაც კედლები ძველებურ ნახატ სურათებით არის მოთული. ამ ნაირადვეა მორთული ოთახების კედლებიც. კიბის მარჯვნივ არის სასტუმრო მათის იმპერატორებითის უდიდებულესობისა ხელმწიფა იმპერატრიცასი, დერეფანს იქით არის სადგომი დიდის მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასულისა. კიბის მარცხნივ დიდი სასადილო ოთახია და მის გვერდით კაბინეთი ხელმწიფე იმპერატორისა. ძირს ერთს მხარეს არის მართლ-მადიდებელთა ეკკლესია, მეორე მხარეს სადგომი მემკვიდრე ცესარევიჩისა. კაბინეთში ჩამოკიდულია ოსმალური ხალი, რომელიც წამოღებულია სობესკის მიერ ვენიდგან. ნაშუადღევს სწორედ 5 საათზე მობძანდნენ როვნოში ლუცკიდგან მათი იმპერატორებითნი უდიდებულესობანი და უმაღლესობანი. რკინის-გზის სადგურზე გამწკრივებული იყო საპატიო ყარაული დროშითა და მუსიკით. იქვე იდგნენ სხვა-და-სხვა დაწესებულებათა უფროსებიც, გრაფინა იგნატიევისამ, კნეინა ლიუმორსკისამ და ქ-ბმა დრაგმიროვისამ მიართვეს თაიგული მისს იმპერატორებითს უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატრიცას. რეალურს სასწავლებელთან მათ იმპერატორებითს უდიდებულესობას დაუხვდნენ ამ სასწავლებლის მოწაფენი და აგრეთვე სხვა საქალაქო სასწავლებლებისანიც მუსიკითადა და იგალობეს საერო საგალობელი. შესავალ კარებთან იდგა საპატიო ყარაული დროშით და მემუსიკეთა ხოროთი. 8 საათზე გაიმართა მათ უდიდებულესობათა პატივსაცემლად სადილი, რომელზედაც 40 კაცი დაესწრო. საღამოს ქალაქი მშვენივრად იყო გაჩირაღდნებული. გზა გზა მათს იმპერატორებითს უდიდებულესობას ხალხი დიდის აღტაცებით ეგებებოდა. დღეს დილის $7^1/_2$ საათზე მათი იმპერატორებითნი უდიდებულესობანი წაბრძანდნენ დუბნოში ალლუმზე დასასწრებლად და იქიდგან ისევ როვნოში დაბრუნდნენ.

### 30 აგვისტო

პეტერბურგი. უმაღლესად ეწყალობათ: რკინის გზათა დეპარტიმენტის დირექტორებს ვიტტეს ორდენი წმ. სტანისლავისა პირველ ხარისხისა. კავკასიის მთავარ მართებლის საბჭოს წევრებს პრიბილსა და პეშჩუროვს—წმ. ალექსანდრე ნეველის ორდენი. დონის ჯარის ატამანს სვიატოპოლკ-მირსკის—კავალერიის გენერლობა. კავკასიის მთავარ-მართებელს შერემეტიევს—წმ. ალექსანდრე ნეველის ორდენის ბრილიანტის ნიშნები, საარმიო კორპუსის უფროსს თ. ჭავჭავაძეს—ორდენი წმ. ალექსანდრე ნეველისა და ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს გროსმანს—ორდენი წმ. ანნასი პირველ ხარისხისა *)

### 31 აგვისტო

როვნო. 29 აგვისტოს მათნი უდიდებულესობანი და უმაღლესობანი წაბრძანდნენ რკინის გზით სადგურ ოზერიანში და იქიდგან ეტლით სოფ. ვარკოვიჩს, სადაც ფოლინის რაზმის მოწინავე ჯართა დაბანაკებული, ოზერიანში გამწკრივებულნი იდგნენ მოწაფე ქალნი და ვაჟნი პირველ დაწყებით რუსულ და ჩეხურ სასწავლებელთა. მათის უდიდებულესობათა გამობრძანების დროს ყმაწვილებმა მწყობრად იგალობეს რუსეთის საერო საგალობელი მოწაფეებისავე მუსიკის ხოროზე, რომელშიაც მემუსიკენი ქალებიც ერივნენ. ჩეხთა მკვიდრ მცხოვრებლების დეპუტაციამ პურ-მარილი მიართო მათ უდიდებულესობათ. აქედგან მათნი უდიდებულესობანი და უმაღლესობანი ეტლებით ვარკოვიჩში წაბრძანდნენ. როცა სოფ. კრილოვში მივიდნენ, აეიდნენ გორაზედ და იქიდგან ადევნებდნენ თვალ-ყურს ალლუმებს. შუადღე მოახლოვებული იყო, როცა მათ უდიდებულესობათ გლეხის სახლში ისაუზმეს და კარგა ხანს ელაპარაკეს ქოხის პატრონს, სამსახურიდგან გადამდგარს ზამოისკის რაზმის ჯარის-კაცს, და შემდეგ ისევე ჯარის თვალიერებას მიჰყვეს ხელი. ალლუმებს შემდეგ მათნი უდიდებულესობანი სოფ. ვარკოვიჩში მიბრძანდნენ, სადაც ეკკლესიის წინ დეკანოზი მიეგებათ. ეკკლესიის დათვალიერების შემდეგ მათნი უდიდებულესობანი ბრძანდებოდნენ ქ-ნ საბუროვის ბაღში, სადაც მან ყვავილების თაიგული

*) ამ დეპეშას უადგილობის გამო შემოკლებით ვბეჭდავთ.

---

იქნება, ჩვეულებრივის კოპწიაობით, წარმოთქმული ბილიარდის ტერმინები: „კრამბოლა, შენმა სიცოცხლემ!“ „მამა არ მომიკვდეს, შარ-შარით გაეკეთე!“ «დუბლეთი... სერედინაში» „კრასნი გვერდში და, სხვ.

ია, ლაზათ! .

**

ჩვენის დაბის „გოგრა“ ცუღლუტობაში დიდი დახელოვნებული გამოდგა... ამ წინაზე მაზრის უფროსი ხელად გაცრუა... ავტარა იმის მობრძანებისათვის დარაკრაკებულ „გლავნი“ ქუჩაზე და მოახსენა: ყველგან ამ გვარი სისუფთავე სუფევსო. იმანაც, რასაკვირველია, ქება შეასხა და არხეინად გაემგზავრა თავის „რეზიდენციისაკენ“... ახლა დღეს ნახეთ თუ რა ამბებია ან თითონ «გლავნი ქუჩაზე», ან ბაზარში და ან ვიწრო ქუჩებში... რა გინდა, სულო და გულო, რომ აქ არ ეყაროს: მკვდარი კატა, ძაღლები, შიგნეულობის დანაცალი და სხვ. უბრალო ნაგავს, სარეცხის წყალს და სხვა ამ გვარ სიკეთეს ხომ რა ყურადღებას მიაქცევთ... ჰაი-და შტუკ!.. ძველს ვემდუროდით, ახალს ველაქუცებოდით... მაგრამ ამაოდ ჩაგვიარა... «ურია და მისი შვილი:— ორივ ღმერთმა დაშამათაო».

**

აკი ვიყივლე, „კრუპუს—პარკში“, „ბუნტს“ იზამენ-მეთქი... სწორედ ასეც მოხდა. 12 ამ თვეს, საღამოს 9 საათზე, გაცხარებულ „ვალციონის“ დროს ერთ-ერთს ჩვენ პრაფესორს, შესავალ კარებში სკამზე ამაყად დასკუპებულს, — რა ვიცი—ლექციებს უგემურად კითხულობდა, თუ წესი ძლიერ რიგიანი გაქვსო,—სთხლიშეს თავში და შამანი-კი გადმოადინეს... მოვარდა ფანჩატურში ღრიალით— არიქა პომკლესო, და დაუწყო ჯლაყვა რევოლვერს ძებნა... ახლა ბიჭობა უნდა გამოეჩინა, თორე— „ბან ჩუნეს“ რევოლვერის დანახვისაც-კი ეშინიან... მეცნიერი კაცი, იარაღის ხმარება როგორღაც «ყაიდაში» ვერ მოდის... თქვენი ჭირიმეთ, რა გულ-ქვა ყოფილან „კრუპუს პარკის“ სტუდენტკები... ამას-კი არ მოველოდდი... წარმოიდგინეთ, ამაგდარი პროფესორი, ზნეობის მამა, სიხლში შეღებილი დაინახეს და ყურიც არ შეიბერტყეს.. თანაგრძნობის გამოჩენას ნუ ვიტყვით—ცოტა ხნით, სანამ სისხლს შეუწყვეტდნენ—ცვკვას მაინც შევაჩერებდი... ან-კი როგორ იამებოდათ იმ ღრიანცელში „ტურნე“—„ბალანცე“. იცოცხლეთ, პროფესორნიც არ ჩამოჰრჩნენ უმადურებაში: იმავე საღამოს საყოველთაოდ გამოაცხადეს, რომ რადგანაც „მეექვსე გრძნობით“ შეჭურვილნი ჩვენ „კრუპუშიაც“ გამოერივნენ, დღეის შემდეგ „პარკობანა“ ჩაილულის წყალს დაჰლევსო. სწავლის საფასურად შემოტანილი ორ-ორი მანათიც ჯიბეთა ჩვენთა მეოხედ დაგვიტოვებიაო. თქვენს მტერს მოსწყდეს წელი, როგორც „სტუდენტკებს“ აციეათ, ჩვეულებრივი კისკისიც არ დაიშურეს, მაგრამ რაღა დროს, ხომ მოგეხსენებათ, რახან გული ერთხელ დაიღაგა—ადვილად ვეღარ დაიბრუნებ და გაჰკურნავ. დღეს გულ-ჩათუთქულნი ჰგოდებენ და პირს იხოკენ... ყოველ მხრიდგან შემდეგი ლექსი მოისმის შემზარავის ჰანგით შეწყობილი:

ადარც ნატვრა და აღარც იმედია,
ყველა წარხდა—ვაი ასრედ შთენილსა!
ვაი იმას, ვისაც ჩემებრ ჰსჯვია
გულს ისარი „პარკიდამ“ დაფრენისა!..

**

ორი სიტყვაც! რა ვიცით, ქამთა ვითარებაა, იქნება მე აქ „მამულს შევსწირე დღენია“-და მინდა უკანასკნელი ჩემი სურვილი ეხლავე გამოვაცხადო...

«სახელითა, მამისათა, და ძისათა... ამინ.» რადგანაც მემკვიდრეები სხვა არავინ მეგულება, ჩემს მემკვიდრეებათა ვნიშნავ დაბის „მახინჯზე უვარგისებს,“ ვუტოვებ სამკვიდროდ ამ ორს ფელეტონს, რამდენსამე წიგნაკს ამ სათაურით „პრანჭვა-გრეხვა, კოპწიაობა-ჰორიკანაობა, ოჯახის დაუნდობლობა და კავალრების ლამუნი— დევიზია ჩვენთა ქალთა არსებობისა. და ორ წყვილ ნახმარ ჩლუსტებს წინდებითურთ თავიანთი „რაინდებისათვის“ (ბოდიშს ვიხდი, წინდებს თათები ცოტა არ იყოს, წაცვეთილი აქვს.. ვსთხოვ ახლები მოადგან და თუ დაჰზარდათ—გამოუნემსონ მაინცა): ვინიცობაა კვლავაც დაუწერა ვინმემ რამე, ძებნაში თავიანთი წალები არა სცვითონ. ნაცვლად ამ სამკვიდროისა მხოლოდ ერთს მცირე რასმეს ვევედრები: ყოველ „ვაგზალზე“ და „პარკში“ გამგზავრებისას მომიგონებდნენ ხოლმე შემდეგის სიტყვებით: მოიხსენენ, უფალო, სასუფეველსა შენსა სული ლამაზთაგან უსამართლოდ გასამართლებულისა.“

კუნჭუტი

დ. უპატრონო.

მიართვა ხელმწიფე იმპერატრიცას. ბალშივე გამართული იყო საუზმე და მიწვეულნი იყვნენ ბევრნი წარჩინებულნი.

ტაშკენტი. დღეს დიდის ამბით აკურთხეს თურქესტანის სამეურნეო და სამრეწველო გამოფენა.

პეტერბურგის ბირჟა, 28 აგვისტო.

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გაყიდულნი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | — „ | — „ | 6 42 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | „ | 127½ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1 11 | „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი | 228 | — „ | — „ |
| —მეორისა | — „ | — „ | 217½ |
| —მესამისა | — „ | — „ | 213½ |
| გირავნობის ფურცელნი ტ ილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიის და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასიის-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს კვადაზე გემები.

# განცხადებანი

სათავად აზნაურო თეატრი

კვირას, 2 სექტემბერს,

პირველს წარმოდგენას გაჰმართავს

## ჟუჟა და ქონდრის კაცების დასი.

წარმოდგენილი იქნება

„ნადირი მონადირეს წინ ეხეხებოდაო“

ვოდევილი 1 მოქმედებად და

დივერტისმენტი,

რომელშიაც იმღერებენ, იცეკვავენ და ბალეტს გაჰმართავენ.

სიმაღლით არტისტები 18 გოჯიდგანაც არიან დაწყებულნი. ჩვენს ქალაქში მხოლოდ 5 წარმოდგენას ჰმართავენ.

1 სექტემბრიდამ ამა წლისა იქმნებიან წინამძღვარიანთ კარის სასოფლო მეურნეობის სკოლაში მიღებულნი ჯან-მრთელი ყმაწვილები არა ნაკლებ ათის წლისა ყველა წოდებისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

ვისაც სურვილი აქვს, სკოლაში ყმაწვილი მიაბაროს, იმან უნდა პირად ანუ წერილით განუცხადოს თავისი სურვილი სკოლის მზრუნველს ილია ივანეს ძეს წინამღვარიშვილს (მომრიგებელ მოსამართლეს) ქ. ტფილისში, ანუ სკოლის ზედამხედველს თ. ერმილე კაციას ძეს ნაკაშიძეს ს. წინამძღვარიანთ-კარში, წარმოადგინოს ყმაწვილის წლოვანების მოწმობა, სინოდის კანტორიდან მიღებული, ან მღვდლისაგან მიცემული ამოწერილობა წლოვანების წიგნიდგან, და იმ სკოლის მოწმობა, სადაც ბავშვს უწინ უსწავლია. გამოცდა ყმაწვილებისა მოსამზადებელ კლასის პირველ განყოფილებაში არ იქნება, მხოლოდ ვინც მოსამზადებელ კლასის დანარჩენს, განყოფილებაში შესვლას მოინდომებს იმას უნდა ჰქონდეს შესაფერი მომზადება და სწავლა.

სასწავლო სკოლის კურს შეადგენენ: 1) საღმრთო წერილი, 2) ქართული და რუსული ენები, 3) არითმეტიკა და პრაკტიკული გეომეტრია, 4) სამშობლოს შესწავლა, მოკლე გეოგრაფია რუსეთისა და ევროპის სახელმწიფოებისა და საზოგადო მიმოხილვა ქვეყნებისა, 5) ბუნების მეცნიერება, 6) სამეურნეო საგნები: მიწის შემუშავება, მებაღობა, მებოსტნობა, ვაზის მოვლა-მოშენება, ღვინის დაყენება, საქონლის და აბრეშუმის ჭიის მოვლა-მოშენება მეფუტკრობა და სასოფლო მეურნეობის ანგარიშის ცოდნა, 7) ხატვა, 8) საეკკლესიო და საერო გალობა, 6) სწავლა ხელოსნობისა: დურგლობისა, მჭედლობისა და წიგნების კაზმისა.

სკოლაში ყმაწვილები უსასყიდლოდ მიიღებენ: სწავლას, და ყველა სასწავლო ნივთებს, მხოლოდ დედ-მამამ, ანუ იმათმა მოადგილემ, უნდა ყმაწვილს სოფელში ბინა უშოვოს, ჩააცვას და დახუროს.

სკოლაში მიიღებიან ისეთი მოზრდილი ყმაწვილებიც, რომელთაც სწავლა სხვა სასწავლებელში გაუთავებიათ და სურვილი აქეთ, სასოფლო მეურნეობა შეისწავლონ და ფერმაში ივარჯიშონ.

შორ მხრიდამ მოყვანილ ყმაწვილებისათვის სოფ. წინამძღვარიანთკარში გამართულია სკოლის ხარჯით 30 შაგირდისათვის სადგური. ყველა საქმეს ამ სადგურისას თვით სკოლის პედაგოგიური კრება განაგებს. თითო შეგირდის შესანახავად დანიშნულია ჯერ-ჯერობით თვეში შვიდი მანათი (ფულის მაგიერ შეუძლიან მშობლებმა შემოიტანონ ხორაგეული) შემდეგში სკოლის მმართველობა ეცდება, ეს ფასი შეამციროს. ყმაწვილს დილა საღამოს მიეცემა სტაქანი ჩაი, ანუ რძე პურით, შუადღისას საუზმე და სწავლის შემდეგ სადილი, თითო კერძი: ხსნილში სახსნილო და მარხვაში სამარხო. კვირაში ერთხელ საცვალი გამოეცვლებათ.

ვისაც ჰსურს მიაბაროს ყმაწილი სკოლის სადგურში, იმან უნდა წარმოადგინოს: ნახევარი წლის შესანახი ფული 42 მანათი პირველ სექტემბერს და მეორე ნაწილი, 42 მანათი, პირველ იანვრამდე. ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, მაშინ შაგირდი დათხოვნილი იქნება სადგურიდგან და გაიგზავნება თავის მშობლებთან. ამისთვის მშობლებმა, ვიდრე შვილს მიაბარებენ სასწავლებელში, წინად უნდა სკოლაში შემოიტანონ ყმაწვილის გასაგზავნად ერთი თუმანი.

ყმაწვილს უნდა ჰქონდეს კრაოტი (შეუძლიან შემოიტანოს სამი მანათი კრაოტის სასყიდლად), ქვეშაგები, სამი ხელი საცვალი და სამი ხელი სკოლისათვის დაწესებული ტანსაცმელი: ერთი საზამთრო და ორი საზაფხულო. უკეთუ ყმაწვილი სადგურიდამ მეორედ ფულის შემოტანის ვადამდე გავა, მას შემოტანილი ფული უკან არ დაუბრუნდება და დარჩება სადგურის სასარგებლოდ.

ფული და ყოველივ გვარი წერილები გამოიგზავნება შემდეგის ადრესით: Станція Мцхеть. смотрителю Цинамзгваріантъ-карской сельскохозяйственной школы кн. Ер. К. накашидзе.

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

## გორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. მ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

„წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზიამ შეიძინა

ჟურნალ „ნობათი“-ს

ყველა ნომერი, გარდა სანიმუშოსი, რომელიც სრულებით აღარ მოიპოვება გასასყიდად. ყველა ნომერი ერთად, რიცხვით ათი წიგნი, ზედ დამატებით ცალკე წიგნად დაბეჭდილ წიგნისა «ღომგაცი», —სულ თერთმეტი წიგნი ღირს

2 მან.

ვინც ტფილისს გარეშე დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

ისტორია მართლ-მადიდებელ ეკკლესიისა,

შედგენილი

მოსე ჯანაშვილის მიერ.

ფასი წიგნისა 40 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“

## პატარა კახი

ისტორიული ხუთ მოქმედებიანი დრამა ლექსად

აკაკისა

ფასი 50 კაპ.

## ექიმს გაკვეთილებს

რუსეთის დედა-ქალაქის ინსტიტუტში კურს-შესრულებული ქალი, ფრანგულისა და ნემეცურის ენის პრაქტიკულად და თეორიულად მცოდნე. ადრესი იკითხეთ: მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა საზოგადოების კანტორაში, ბარონოვის ქუჩაზედ, კოლუბანსკის სახლებში.

(3—2)

## კბილი აღარავის წამოსტკივდება

თუ იხმარებენ

ღირსთა მამათა ბენედიქტელთ გამოგონილს ელიქსირს

სულიაკის სააბატოში (GIRONDE)

ეს ელიქსირი გამოგონილია 1373 წ. პრიორის პეტრე ბურსოს მიერ





და ოქროს მენდლებით დაჯილდოებული

ბრიუსელში 1880 წ. და ლონდონში 1884 წ.

ყოველ დღე ამ ელიქსირის ხმარებით ადამიანს კბილები გნახვება გაფუჭებისაგან, უთეთრდება, ღრძილები უმაგრდება და პირში საუცხოვო გემო ეძლევა.

ჩვენ მართლაც-და სამსახურს ვუწევთ ჩვენს მკითხველებს, თუ იმის ყურადღებას ამ სასარგებლო წამალზედ მივაქცევთ, კბილის ტკივილის ამ საუკეთესო საშუალებაზედ.

ამ ელიქსირს გარდა, მამა ბენედიქტელნი აკეთებენ აგრეთვე კბილის საწმენდს ფხვნილსა.

ეს წამლები და აგრეთვე ელიქსირი ყველ დიდს აფთიაქსა და სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიაში შეუძლიან მსურველმა იყიდოს.

უმთავრესი აგენტი: Jeguin, Bordeaux, rue Croix de Jegucy. № 106.

(208—40)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# ივერია

1890 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვეით | 10 მ. — კ. | 6 თვეით | 6 მ. — კ. |
| 11 „ | 9 „ 50 „ | 5 „ | 5 „ 25 „ |
| 10 „ | 8 „ 75 „ | 4 „ | 4 „ 70 „ |
| 9 „ | 8 „ — „ | 3 „ | 3 „ 50 „ |
| 8 „ | 7 „ 25 „ | 2 „ | 2 „ 50 „ |
| 7 „ | 6 „ 50 „ | 1 „ | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვეის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვეის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვეის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

Доз. ценз Тифлисъ, 31-го Августа 1890 г. Типо-Литографія F. I. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე